ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11926093001**

თარიღი:**03/04/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა 2026 წლის 3 აპრილს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 12:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების დასკვნები განკარგულების პროექტზე „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი